



GEORGIAN FOUNDATION FOR  
STRATEGIC AND INTERNATIONAL STUDIES

ირან-აშშ-ის ურთიერთობები მათი სპეცსამსახურების  
დაპირისპირების ფონზე

ვასილ ლლონტი

214

ეპსკეიტის აზრი





საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდი  
GEORGIAN FOUNDATION FOR STRATEGIC AND INTERNATIONAL STUDIES

## **ექსპერტის აზრი**

**ვასილ ლლონტი**

**ირან-აშშ-ის ურთიერთობები მათი სპეცსამსახურების  
დაკვირვებების ფონზე**

**214**

**2023**



პუბლიკაცია დაიბეჭდა ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს ფინანსური მხარდაჭერით. გამოცემაში გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნის ავტორებს და შეიძლება არ ასახავდეს საელჩოს თვალსაზრისს.

ტექნიკური რედაქტორი: არტემ მელიქ-ნუბაროვი

საავტორო უფლებები დაცულია და ეკუთვნის საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდს. წერილობითი ნებართვის გარეშე პუბლიკაციის არც ერთი ნაწილი არ შეიძლება გადაიბეჭდოს არანაირი, მათ შორის ელექტრონული ან მექანიკური, ფორმით. გამოცემაში გამოთქმული მოსაზრებები და დასკვნები ეკუთვნის ავტორს/ებს და შეიძლება არ ასახავდეს საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდის თვალსაზრისს.

© საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო  
ურთიერთობათა კვლევის ფონდი, 2023 წელი

ISSN 1512-4835

ISBN

## შესავალი

ირანი-აშშ-ის ურთიერთობების ბოლო ათწლეულის დინამიკა გვიჩვენებს, რომ ამ ქვეყნებს შორის ბევრი რთულად მოსაგვარებელი პრობლემა არსებობს. რა სურს ირანს და როგორია მისი დამოკიდებულება აშშ-ის მიმართ? ირანის პოლიტიკური ელიტა აშშ-ს ნომერ პირველ საგარეო საფრთხედ მიიჩნევს და ახლო აღმოსავლეთის რეგიონიდან მის განდევნას ლამობს. ამ პროცესში ის აქტიურად იყენებს საკუთარი სპეცსამსახურების შესაძლებლობებს. თავის მხრივ, აშშ ირანს მსოფლიო ტერორიზმის ერთ-ერთ ძირითად დამფინანსებლად და თავისი სახელმწიფო ინტერესების ერთ-ერთ მთავარ მოწინააღმდეგედ განიხილავს. ამერიკელების მიზანია ირანიდან მომავალი ტერორისტული საფრთხის განეიტრალება და რეგიონსა თუ მის ფარგლებს გარეთ მისი დასუსტება, რაშიც აქტიურად არიან ჩართული ამერიკული სპეცსამსახურები. ამ ფონზე, ირანისა და აშშ-ის სპეცსამსახურებს შორის მიმდინარეობს როგორც ფარული, ისე ღია ომი, რომელიც ბოლო წლებში სულ უფრო მეტ მასშტაბებს იძენს. ჩვენი წინამდებარე ნაშრომის მიზანია განვიხილოთ და გავაანალიზოთ ირანისა და აშშ-ის სპეცსამსახურების ურთიერთობები და მათი როლი ახლო აღმოსავლეთში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებში.

## ახლო აღმოსავლეთი

იმის გამო, რომ ირანის სპეცსამსახურები და მათთან დაკავშირებული ფინანსური ორგანიზაციები ბოლო ათწლეულია მსოფლიო მასშტაბით მოქმედებენ, შემჩნეული არიან ტერორიზმის წახალისებაში, იარაღის ექსპორტში, ნარკოტიკების არალეგალურ ბიზნესში მონაწილეობაში, ნავთობის არალეგალურ ექსპორტში, ფულის გათეთრებასა და სხვადასხვა ფინანსურ მაქინაციაში, ისინი აიათოლების ინსტიტუტთან ერთად, აშშ-ისა და მისი მოკავშირეებისათვის გლობალურ პრობლემად და საფრთხედ გადაიქცნენ. ამასთან, რამდენადაც როგორც ირანი, ისე აშშ ახლო აღმოსავლეთის რეგიონს განსაკუთრებული ინტერესის ობიექტად და გავლენის სფეროდ განიხილავენ, ამიტომ ამ ორი ქვეყნის სპეცსამსახურებისა და სამხედრო წრეების დაპირისპირების ეპიცენტრი სწორედ მსოფლიოს ეს უმნიშვნელოვანესი რეგიონი გახდა. მაშინ, როცა ირანის ხელისუფლება, საკუთარი პოზიციების გამყარების მიზნით, ახლო აღმოსავლეთის სახელმწიფოებში პოლიტიკურ-ეკონომიკურ, სამხედრო, რელიგიურ და იდეოლოგიურ ექსპანსიას ახორციელებს, ირანისა და აშშ-ის ინტერესები ახლო აღმოსავლეთის ბევრ ქვეყანაში, მათ შორის ერაყში, სირიაში, ლიბანსა და იემენში, ერთმანეთს უპირისპირდება.

საერთაშორისო სანქციებდადებული და ნაწილობრივ პოლიტიკურ იზოლაციაში მოქცეული ირანისათვის სირიისა და ლიბანის დახმარებით ხმელთაშუა ზღვაზე გასასვლელს სტრატეგიული მნიშვნელობა აქვს, რადგან ამ პორტებიდან ხდება ნავთობის (Navvar Saban, 2023), იარაღისა და ნარკოტიკების (Baria Alamuddin, 2021) სხვადასხვა ქვეყანაში გატანა. ამ კონტრაბანდულ ექსპორტს კურატორობას უწევს ირანის სპეცსამსახური – „ისლამური რევოლუციის გუშაგთა კორპუსი“;

რომელსაც, ტერორისტული საქმიანობის გამო მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში აქვს დადებული საერთაშორისო სანქციები. ის გარემოება, რომ კონტრაბანდული საქონლის საერთაშორისო ექსპორტის სქემებში აქტიურად არიან ჩართული სირიის ბაზარ ასადის რეჟიმის წარმომადგენლები, სირიის შიიტური მილიცია და ლიბანის ტერორისტული ორგანიზაცია „ჰეზბოლა“, გვაფიქრებინებს, რომ საქმე გვაქვს ორგანიზებულ, დანაშაულებრივ საერთაშორისო სინდიკატთან, რომლის მოქმედების არეალი გასცდა ახლო აღმოსავლეთის რეგიონს და, სავარაუდოდ, მთელი მსოფლიოს მასშტაბით მოქმედებს.

ამას ადასტურებს ის ფაქტიც, რომ სირიაში, ადგილობრივი ხელისუფლების მფარველობით, ირანის სპეცსამსახურებთან და „ჰეზბოლასთან“ დაკავშირებული ნარკოტიკების დამამზადებელი ქარხნები მუშაობს (voanews.com, 2023). ირანული სპეცსამსახურები, „ისლამური რევოლუციის გუშაგთა კორპუსის“ სპეცშენაერთის – „ალ-ყოდსის“ ხელმძღვანელობით, ადგილობრივი შიიტი მუსლიმების გადაბირებაზე მუშაობენ აქტიურად, რათა ისინი შემდგომში საკუთარი ინტერესებისთვის, მათ შორის აშშ-ის და ისრაელის წინააღმდეგ, გამოიყენონ. გადაბირებულებს შემდეგ შიიტურ პროქსი-დაჯგუფებებში რიცხავენ, წვრთნიან და თავიანთი ინტერესების შესაბამისად რთავენ საბრძოლო მოქმედებებში (Joby Warrick and Evan Hill, 2023). პარალელურად, სირიაში არსებულ ირანულ სამხედრო ქალაქებში მუშაობენ მინიქარხნები, რომლებიც სხვადასხვა ტიპის იარაღს, დრონებს, რაკეტებსა და ტყვია-წამალს ამზადებენ (Timesofisrael.com, 2022). ისრაელის სპეცსამსახურების ინფორმაციით, სირიის ტერიტორიაზე ძალიან ბევრი ირანული სამხედრო ბაზა და სადაზვერვო ცენტრია (Ahmad Majidiyar, 2018) (Mohammed Hassan, Samer al-Ahmed, 2022).

ირანის სპეცსამსახურების წარმატებული საქმიანობა, დიდი ალბათობით, განაპირობა „გუშაგთა კორპუსის“ ელიტარული შენაერთის – „ალ-ყოდსის“ მეთაურის, გენერალ ყასემ სოლეიმანის ფაქტორმა, რომელმაც ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში თეირანის გავლენის ქვეშ მყოფი უზარმაზარი აგენტურული ქსელი და სამხედრო ინფრასტრუქტურა ჩამოაყალიბა. ერთ-ერთი ვერსიით, სწორედ გენერალ ყასემ სოლეიმანის მოსკოვში ვიზიტის შემდეგ გადაწყვიტა რუსეთის ხელმძღვანელობამ სირიაში მიმდინარე სამოქალაქო ომში აქტიურად ჩართულიყო და საკუთარი სამხედროები გაეგზავნა (Laila Bassam, Tom Perry, 2015). ფაქტია, რომ ირანელმა მზვერავმა ირანის და რუსეთის საერთო მხარდაჭერით ასადის რეჟიმისათვის ხელისუფლების შენარჩუნებასა და სამოქალაქო ომში გამარჯვების მოპოვებაში დიდი როლი შეასრულა, რამაც აშშ-ის და მისი მოკავშირე ისრაელის სერიოზული უკმაყოფილება და გაღიზიანება გამოიწვია.

რადგან შიიტი მუსლიმებით დასახლებულ, ენერგორესურსებით მდიდარ ერაყს ირანისთვის სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა, ყასემ სოლეიმანი იქაც ძალიან გააქტიურდა და მის შიიტურ მთავრობაზე დიდი გავლენა მოიპოვა. მისი უშუალო ძალისხმევით ძალიან გაძლიერდა ისეთი ტერორისტული ორგანიზაციები, როგორებიცაა „კატიბ ჰეზბოლა“, „ალ-ჰაშდ აშ შამი“ და სხვები. იმის გამო, რომ ირანული სპეცსამსახურის მაღალჩინოსნის აქტიურმა ქმედებებმა ერაყსა და სირიაში აშშ-ის პოზიციების დასუსტება გამოიწვია, ვაშინგტონში დღის წესრიგში

დადგა ყასემ სოლეიმანის ლიკვიდაციის საკითხი. მით უმეტეს, რომ ერაყის ტერიტორიაზე მოქმედმა, საგრძობლად მოძლიერებულმა პროირანულმა პროქსი-დაჯგუფებებმა და ტერორისტულმა ორგანიზაციებმა უკვე აშშ-ის სამხედრო ბაზებზე და ბაღდადში განლაგებულ საელჩოზეც კი მიიტანეს იერიში, რის ორგანიზებასა და განხორციელებაშიც ამერიკის ხელისუფლებამ და მისმა სპეცსამსახურებმა სწორედ გენერალი ყასემ სოლეიმანი დაადასწაულეს (Sheena McKenzie, 2019). იმ მიზნით, რომ ახლო აღმოსავლეთში ირანის პოლიტიკურ-ეკონომიკური, რელიგიური და იდეოლოგიური ექსპანსია შეეჩერებინათ და მათი სპეცსამსახურების აქტივობა შეესუსტებინათ, პენტაგონმა და აშშ-ის სპეცსამსახურებმა 2020 წლის 3 იანვარს ბაღდადში გენერალ ყასემ სოლეიმანი მოკლეს (Yaron Steinbuch, 2020).

ის, რომ 2023 წლის ოქტომბერში დონალდ ტრამპმა ეს თემა ისევ წამოიწია და ისრაელის ამ სპეცოპერაციის მხოლოდ მოსამზადებელ ეტაპზე მონაწილეობა დაადასტურა, უშუალოდ სოლეიმანის ლიკვიდაციის მომენტში კი მისი მონაწილეობა უარყო, გვაფიქრებინებს, რომ აშშ-ის პოლიტიკური ისტებლიშმენტის გარკვეული ნაწილი, ისრაელსა და პალესტინაში არსებული დაძაბულობის ფონზე, ცდილობს ყასემ სოლეიმანის ლიკვიდაციის გამო ირანელების უკმაყოფილებაზე პასუხისმგებელი თავად იყოს და ისრაელი ყასემ სოლეიმანის ლიკვიდაციის საკითხს რამენაირად გაარიდოს. სავარაუდოდ, ამერიკული მხარე ცდილობს, რომ ირანმა ლიბანსა და სირიაში სხვა, დამატებითი ფრონტების გახსნისაგან თავი შეიკავოს და კონფლიქტი კიდევ უფრო არ გააფართოოს. აქვე საყურადღებოა, რომ აშშ-ის მაშინდელი სპეცსამსახურების და სამხედრო წრეების წარმომადგენლები, ვინც უშუალოდ მონაწილეობდა ამ სპეცოპერაციის დაგეგმვასა და განხორციელებაში, ტრამპს ბოლომდე არ ეთანხმებიან და, მისგან განსხვავებით, ისრაელის მონაწილეობას სრულიად უარყოფენ (Courtney Kube and Katherine Doyle, 2023). ის ფაქტი, რომ ისრაელის სპეცსამსახურების იმდროინდელი მაღალჩინოსნები სპეცოპერაციაში თავის მონაწილეობას ადასტურებენ (Anna Ahronheim, 2021), გვაფიქრებინებს, რომ სტრატეგიული პარტნიორობის მიუხედავად, აშშ-ისა და ისრაელის პოლიტიკურ ელიტებს შორის ამ შემთხვევაში არ არის შეთანხმება.

რამდენადაც გენერალ სოლეიმანის სიკვდილის შემდეგ მის შემცვლელ ესმაილ ყანის ერაყის მთავრობასა და შიიტურ პროქსი-დაჯგუფებებზე იმხელა გავლენა აღარ ჰქონდა, ირანულმა სპეცსამსახურებმა ერაყში მოქმედების ტაქტიკა შეცვალეს და დიდი დაჯგუფებების გამოყენების მაგივრად, შედარებით მცირე ზომის მობილურ და იმავდროულად სანდო ჯგუფების გამოყენებაზე გადავიდნენ (John Davison and Ahmed Rasheed, 2021). მიუხედავად იმისა, რომ პროირანული პროქსები ამერიკულ ბაზებს კვლავაც ესხმიან თავს (Phil Stewart, Idrees Ali and Ahmed Rasheed, 2023), ყასემ სოლეიმანის ლიკვიდაციით აშშ-მ თავის მიზანს მიაღწია და ერაყსა და სირიაში ირანის პოზიციები შესამჩნევად შესუსტდა. თუმცა, იმის თქმა, რომ ირანისგან მომავალი ტერორისტული საფრთხე საბოლოოდ განეიტრალდა, რეალობას არ შეესაბამება. ერაყში ირანის „გუშავთა კორპუსის“ კონტროლქვეშ მყოფი ლიბანური „ჰეზბოლას“ ერაყული ფილიალის – „კატაბ ჰეზბოლას“ მიერ რუსეთ-ისრაელის მოქალაქეობის მქონე ელიზაბეთ ცურკოვის (Elizabeth Tsurkov) გატაცება/ დაპატიმრება (Lahan Harkov, 2023) გვიჩვენებს, რომ ირანული სპეცსამსახურები და

მათ კონტროლქვეშ მყოფი შიიტური ორგანიზაციები ლიბანში, სირიასა და ერაყში ისრაელის მოქალაქეების გადაადგილებას განსაკუთრებით აკონტროლებენ. მით უმეტეს, რომ ცურკოვა აშშ-ის პრინსტონის უნივერსიტეტში სადოქტორო სამეცნიერო ხარისხზე მუშაობდა და უსაფრთხოება/ტერორიზმის საკითხებთან დაკავშირებულ კვლევებზე ორიენტირებულ ინსტიტუტთან თანამშრომლობდა (New Lines Institute for Strategy and Policy). სავარაუდოდ, ირანული სპეცსამსახურების ყურადღება ისრაელის მოქალაქის საკვლევა სფეროში მიიპყრო – ეს სამუშაო ახლო აღმოსავლეთის ჯიჰადისტური და ტერორისტული ორგანიზაციების საქმიანობის შესწავლას მოიცავდა. ის, რომ ცურკოვამ ერაყული ტელევიზიით გავრცელებულ ვიდეორიპორტაჟში აშშ-ისა და ისრაელის სპეცსამსახურების სასარგებლოდ მუშაობა „ალიარა“ (alrabiaa.tv, 2023), გვაფიქრებინებს, რომ მასზე ირანული სპეცსამსახურებისა და „კატიბ ჰეზბოლას“ მხრიდან, დიდი ალბათობით, ფსიქოლოგიური და ფიზიკური ზემოქმედება იყო. ეს ნიშნავს, რომ ირანის სპეცსამსახურებს და მათი გავლენის ქვეშ მყოფ პროირანულ დაჯგუფებებს ტერორისტული საქმიანობისთვის ჯერ კიდევ საკმაო რესურსი აქვთ. ამას ისიც ადასტურებს, რომ მიმდინარე წლის ოქტომბერში ირანის „რევოლუციის გუშაგთა კორპუსის“ კონტროლქვეშ მყოფმა, ერაყსა და სირიაში მოქმედმა პროირანულმა პროქსი-დაჯგუფებებმა იქ დისლოცირებულ აშშ-ის სამხედრო ბაზებზე რამდენჯერმე მიიტანეს იერიში (Carla Babb, 2023). ამერიკელი სამხედროების მიერ განხორციელებული წარმატებული საპასუხო ქმედებები (Idrees Ali and Phil Stewart, 2023) გვიჩვენებს, რომ აშშ-ს რეგიონში საკმაოდ დიდი სამხედრო შესაძლებლობები აქვს. მოსალოდნელია, რომ პენტაგონი ახლო აღმოსავლეთში თავის საჯარისო ნაწილებს და ბაზებს კიდევ უფრო გააძლიერებს, რისი ტენდენციაც უკვე შეიმჩნევა (Phil Stewart, 2023).

ირანს, რომელმაც სირიისა და ერაყის მსგავსად, ლიბანის ეკონომიკაში, ენერჯეტიკაში, სამხედრო და ჯანდაცვის სფეროებშიც უზარმაზარი ინვესტიციები განახორციელა, ამ ქვეყანაშიც მყარი პოზიციები აქვს. საკუთარი გავლენის კიდევ უფრო მეტად გაზრდის მიზნით ირანის რეჟიმი, თავისი სპეცსამსახურების დახმარებით, ორივე სახელმწიფოში ისლამური რევოლუციის იდეების ექსპორტსაც ახორციელებს. მისი სამხედრო და ფინანსური დახმარების შედეგად, ტერორისტული ორგანიზაცია „ჰეზბოლა“ ახლო აღმოსავლეთში თეირანის ინტერესების გამტარებელ გასამხედროებულ პოლიტიკურ პარტიად ჩამოყალიბდა, რომლის მოქმედების არეალი ლიბანის ფარგლებს გასცდა და სირიაში, იემენში, ერაყსა და თვით პალესტინამდეც კი აღწევს. სავარაუდოდ, ირანის მიზანია, რომ „ჰეზბოლას“ დახმარებით ლიბანი, განსაკუთრებით შიიტი არაბებით დასახლებული მისი სამხრეთი ნაწილი, საკუთარ ფორპოსტად აქციოს და ხმელთაშუა ზღვის სანაპირო ზოლსა და პორტებზე კონტროლი დააწესოს. ამ გასამხედროებულ პარტიის მებრძოლები, სირიის ხმელთაშუა ზღვის პორტების გამოყენებით, სირიის ტერიტორიაზე არსებული ირანული სამხედრო ბაზებიდან მარაგდებიან. პარალელურად, ირანული სპეცსამსახურების კურატორობით რაკეტების, დრონების დამამზადებელ ქარხნებსა და აეროდრომებს ლიბანის ტერიტორიაზეც აშენებენ. საფიქრებელია, რომ ირანი სირია-ერაყი-ლიბანი-ირანის შიიტური ზოლის შექმნას აპირებს, რაც აშშ-ისა და ისრაელის შეშფოთებას იწვევს.

დიდი ალბათობით, ახლო აღმოსავლეთში ირანისა და მისი სპეცსამსახურების სწორედ ასეთმა აქტივობამ განაპირობა, რომ აშშ-მ ლიბანში უზარმაზარი ახალი საელჩოს აშენება გადაწყვიტა (Nadeen Ebrahim, 2023), სადაც მერიკული სპეცსამსახურის – ცსს-ის ძლიერი სადაზვერვო ცენტრი განთავსდება (Intelligenceonline.com, 2023). სავარაუდოდ, ამერიკული მხარე ლიბანის სპეცსამსახურებთან კოორდინაციის გაძლიერებას აპირებს და სურს, რომ ისინი ირანის სპეცსამსახურების, „ჰეზბოლას“ და, პარალელურად, სუნიტური რადიკალური დაჯგუფებების შესახებ სადაზვერვო ინფორმაციის მოპოვებაში დაიხმაროს. იმის გათვალისწინებით, რომ აშშ ლიბანის შეიარაღებულ ძალებს ტრადიციულად დიდ დახმარებას უწევს (Kareem Chehayeb, 2023), საფიქრებელია, რომ სწორედ ამ ძალების შემადგენლობაში მყოფ სამხედრო სპეცსამსახურებთან ითანამშრომლებს. ამ ფონზე, აშშ-ის კონგრესში რესპუბლიკელების მხრიდან ლიბანის არმიის დახმარების თაობაზე წინადადების წამოყენებაც (Intelligenceonline.com, 2023) იმას ადასტურებს, რომ ამერიკელი პოლიტიკოსები ლიბანში აშშ-ის გავლენის გაზრდას აპირებენ. პარალელურად, აშშ-მ ისრაელს ირანის წინააღმდეგ მოქმედებების ერთობლივი სამხედრო დაგეგმვა შესთავაზა (Barak Ravid, 2023). სავარაუდოდ, ისრაელი ამ უდავოდ პერსპექტიულ და პოზიტიურ წინადადებას ინტერესით, მაგრამ ამავე დროს სიფრთხილით მიუდგება, რადგან თანხმობის შემთხვევაში, ამერიკელებთან საკუთარი გეგმების გაზიარება მოუწევს. არაა გამორიცხული, რომ ებრაული სახელმწიფოსათვის ეს გადაწყვეტილება რთულად მისაღები გახდეს, რადგან ისრაელები ტრადიციულად ცდილობენ, რომ საკუთარ საქმეებში არავინ ჩაახედონ.

ამ ფონზე, ფაქტი, რომ ლიბანში „ჰეზბოლასთან“ ერთად ბაზა აქვთ ტერორისტული ორგანიზაციების – „პალესტინის განთავისუფლების სახალხო ფრონტის“, „ჰამასის“ და „ისლამური ჯიჰადის“ მებრძოლებს, ამყარებს მოსაზრებას, რომ ირანის სპეცსამსახურები ცდილობენ სამხედრო და ტერორისტული მომზადებაგავლილი პალესტინელი მებრძოლები აშშ-ის და ისრაელის წინააღმდეგ გამოიყენონ. 2023 წლის 28 მარტს „ირანის ისლამური რევოლუციის გუშაგთა კორპუსის“ პრესსპიკერმა, გენერალმა რამეზან შარიფმა პალესტინელებს ისრაელში მიმდინარე ფართომასშტაბიანი ანტისახელისუფლო საპროტესტო მოძრაობის გამოყენება ურჩია და ისრაელის დესტაბილიზაციისაკენ საჯაროდ მოუწოდა (Iranintl.com, 2023). არსებული ინფორმაციით, ირანს და მის მოკავშირე „ჰეზბოლას“ სირიასა და ლიბანში სადაზვერვო ცენტრებიც ჰქონდათ (Iran International Newsroom, 2023), რომელთა ერთ-ერთ მთავარ ამოცანას, დიდი ალბათობით, აშშ-ის და ისრაელის სამხედრო ძალების და სპეცსამსახურების შესახებ ინფორმაციის მოპოვება წარმოადგენს. კერძოდ, ისრაელის სამხედრო წრეების და სპეცსამსახურების ინფორმაციით, ლიბანში ფუნქციონირებს ირან-ჰეზბოლას სადაზვერვო ცენტრი, რომელიც ისრაელის სამხედრო ძალების შესახებ მოპოვებულ სადაზვერვო ინფორმაციას პალესტინაში მოქმედ ტერორისტულ ორგანიზაცია „ჰამასს“ აწვდის (Jonathan Schanzer, 2022).

ამასთან, მიმდინარე წლის აგვისტოში ისრაელის კონტრდაზვერვა „შინ ბეთმა“ დააკავა/გაანეიტრალა ირანის სპეცსამსახურების დავალებით მოქმედი სადაზვერვო-ტერორისტული ქსელი, რომელშიც პალესტინელებიც შედიოდნენ და



რომლის მიზანსაც ისრაელის უშიშროების მინისტრ ითამარ ბენ გვირისა და სხვა მაღალჩინოსნებისთვის ტერაქტების მოწყობა წარმოადგენდა, რაც გვიჩვენებს, რომ ირანი ისრაელის ტერიტორიაზე საკუთარი საქმიანობის გააქტიურებას ცდილობს (Yoav Zitun, Lior El-Hai, 2023). ისრაელის უშიშროების სამსახურის – „შაბაქის“ ინფორმაციით, ბოლო ხანებში ირანმა, ისრაელის წინააღმდეგ ტერაქტების ჩატარების მიზნით, იუდეასა და სამარიაში, ორგანიზაცია „ჰამასის“ დაფინანსების მასშტაბები ძალიან გაზარდა (Newsru.co.il, 2023). ეს გარემოებები გვაფიქრებინებს, რომ ირანს იმედი აქვს, რომ პალესტინელების ხელით ისრაელში არსებულ რთული შიდაპოლიტიკური მდგომარეობა კიდევ უფრო გართულდება და გაუარესდება. სავარაუდოდ, ირანელების მიზანია, რომ ისრაელს საზღვარგარეთ აქტივობის დრო და შესაძლებლობები შეეზღუდოს, რაც მათ სირიაში, ერაყში, საუდის არაბეთსა და სხვა ქვეყნებში საკუთარი ინტერესების დაცვას შესაძენევად გაუადვილებს. არაა გამორიცხული, რომ სწორედ ირანი იდგეს მიმდინარე წლის 7 ოქტომბერს ისრაელში განვითარებული მოვლენების უკან, როცა „ჰამასის“ წევრებმა ისრაელის ქალაქებში ტერაქტები მოაწყეს (Gadi Zaig, Maayan Jaffe-Hoffman, 2023). ამ მოსაზრებას, ფაქტობრივად, ადასტურებს ორგანიზაცია „ჰამასის“ პრესსპიკერი ლაზი ჰამადიც, რომელიც BBC-ისთვის მიცემულ ინტერვიუში ღიად ლაპარაკობს ირანის მხრიდან დახმარებაზე (Paul Kirby, 2023).

იმის გათვალისწინებით, რომ „ჰამასის“ ტერორისტული თავდასხმა იყო ძალიან კარგად ორგანიზებული და მოულოდნელი, ისრაელის სპეცსამსახურების მზადყოფნა და ინფორმირების დონე არადაამაკმაყოფილებლად უნდა შეფასდეს. მით უმეტეს, იმ გარემოების ფონზე, რომ ამერიკულმა სპეცსამსახურებმა პალესტინელების შეტევამდე ცოტა ხნით ადრე ისრაელელი კოლეგები „ჰამასის“ უჩვეულო აქტიურობის შესახებ რამდენჯერმე გააფრთხილეს (Katie Bo Lillis, Zachary Cohen, Alex Marquardt and Natasha Bertrand, 2023). გარდა ამისა, არაა გამორიცხული, რომ პალესტინელი ტერორისტების ხელში აღმოჩნდა დიდი რაოდენობის სადაზვერვო ინფორმაცია, რომელიც საზღვრისპირა ქალაქების უშიშროების, პოლიციისა და სასაზღვრო ჯარების შენობა-დანესებულებებში ინახებოდა. ფართომასშტაბიანი ტერორისტული შეტევის ორგანიზების დონე და ინფორმირების მაღალი ხარისხი გვაფიქრებინებს, რომ ამ მოვლენის უკან დგას ძლიერი ქვეყნის მაღალი კლასის სპეცსამსახურები და არა – უბრალო ტერორისტული ორგანიზაციები.

ამ ფონზე, ამერიკული გამოცემა The Wall Street Journal-ის მიერ აშშ-ის სპეცსამსახურებზე დაყრდნობით გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ისრაელზე თავდასხმამდე ერთი კვირით ადრე პალესტინური ორგანიზაციების „ჰამასისა“ და „ისლამური ჯიჰადის“ 600-მდე მებრძოლმა სამხედრო მომზადება ირანში „ისლამური გუშაგთა კორპუსის“ სპეცშენაერთ „ალ-ყუდსის“ უშუალო ხელმძღვანელობით გაიარა (Summer Said, Dov Lieber, Benoit Faucon, 2023), რაც ამ ტერორისტულ შეტევაში ირანის როლს კიდევ უფრო მნიშვნელოვანს ხდის. ის ფაქტი, რომ წვრთნებს უშუალოდ გენერალი ესმაილ ყაანი ხელმძღვანელობდა, გვიჩვენებს, რომ ირანული მხარე ამას დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა. ჩვენთვის აგრეთვე საინტერესო გარემოებაა ამ ტერორისტული/სამხედრო შეტევის

დროს გამოყენებული პალესტინელების ტერორისტულ-დივერსიული სტილი და სხვა სპეციფიკური მახასიათებლები, რომლებიც ძალიან ჰგავს ირანული სპეცსამსახურების ხელწერას, ასევე დრონებისა და მოტოციკლეტების გამოყენების თვალსაზრისითაც. ამის გათვალისწინებით, ხაზგასასმელია, რომ აქამდე „ჰამასს“ და „ისლამურ ჯიჰადს“ სპეცოპერაციების და ტერაქტების ასეთი მაღალ დონეზე ჩატარება არ შეეძლოთ. შეიძლება ითქვას, რომ ამ ეტაპზე ისინი, თავისი მოქმედების მასშტაბით, კარგად ორგანიზებულობითა და შესრულების ხარისხით, ჩვეულებრივ ტერორისტულ ორგანიზაციებზე გაცილებით მაღლა დგანან და სახელმწიფო ძალოვანი სტრუქტურებისათვის დამახასიათებელ ნიშან-თვისებებს ავლენენ, რაშიც ირანის „გუშაგთა კორპუსს“ უზარმაზარი როლი მიუძღვის.

საინტერესოა, რომ ამ პროცესებამდე რამდენიმე დღით ადრე ირანის სპეცსამსახურებთან დაკავშირებულმა ჰაკერებმა სოციალურ ქსელებში ისრაელის ყოფილი პრემიერ-მინისტრის ეჰუდ ბარაკის და კიდევ სხვა, დღევანდელ ხელისუფლებასთან ოპოზიციაში მყოფი, ისრაელელი პოლიტიკოსების – ბენი განცისა და ეჰუდ ოლმერტის „მაკომპრომიტირებელი“ ფოტოები გაავრცელეს, რომლებიც თითქოსდა პრემიერ-მინისტრ ბენიამინ ნეთანიაჰუს ოფისიდან მოიპარეს (Stav Namer/Maariv, 2023). სავარაუდოდ, ირანული სპეცსამსახურების მიზანი იყო ისრაელის პოლიტიკურ ელიტაში არსებული შიდა დაპირისპირების კიდევ უფრო გაზრდა. ის გარემოება, რომ აშშ-ის, გერმანიის და სხვა ქვეყნების ხელმძღვანელები „ჰამასის“ თავდასხმაში ირანს მხოლოდ ირიბად ადანაშაულებენ (Reuters, 2023) და ირანის პირდაპირი ჩართულობის დამადასტურებელი, მამხილებელი ზუსტი სადაზვერვო ინფორმაცია არ გააჩნიათ (news.sky.com, 2023), ბევრ კითხვას აჩენს. არაა გამორიცხული, რომ აშშ-ც და გერმანიაც ირანის პირდაპირი დადანაშაულებისგან თავის შეკავებით კონფლიქტის გაფართოებას და ირან-ისრაელის შესაძლო ომის თავიდან აცილებას ცდილობენ, რადგან ასეთ შემთხვევაში, მათ ფართომასშტაბიან საომარ მოქმედებებში ისრაელის მხარეზე ჩაბმა მოუწევთ. ის, რომ აშშ-მ ისრაელისათვის სამხედრო დახმარების განვსა და სადაზვერვო ინფორმაციით მომარაგებაზე უკვე თქვა (Oren Liebermann and Alex Marquardt, 2023), გვიჩვენებს, რომ ამერიკული მხარე ამ კონფლიქტში რაღაცა ფორმით აუცილებლად ჩაებმება, თუმცა, მისთვის ირანთან პირდაპირი ომის პერსპექტივა ნაკლებად მისაღებია. შესაბამისად, დიდი ალბათობით, ამერიკული მხარე შეეცდება, რომ კონფლიქტის მოგვარების ალტერნატიული, მშვიდობიანი გზებიც მოიძიოს. ამავე დროს, შეინიშნება კავშირი აშშ-ის მიერ ისრაელისათვის გაწეულ დახმარებასა და ა.წ. ოქტომბერში სირიასა და ერაყში დისლოცირებულ ამერიკულ სამხედრო ბაზებზე ირანის „გუშაგთა კორპუსის“ კურატორობით მოქმედი პროირანული პროქსი-დაჯგუფებების მიერ განხორციელებულ თავდასხმებს შორის, რაზეც ზემოთ უკვე ვისაუბრეთ. ამას გვიდასტურებს ისიც, რომ პროირანული პროქსების ხელმძღვანელებმა ამერიკულ სამხედროებზე თავდასხმის წინ აშშ-ის ხელისუფლება წინასწარ გააფრთხილეს, რომ თუ აშშ ისრაელს პალესტინელებთან ბრძოლაში დაეხმარებოდა, ისინი აშშ-ის სამხედროებს თავს დაესხმებოდნენ (Reuters, 2023). ამასთან დაკავშირებით საინტერესოა ირანულ მედიაში აიათოლების რეჟიმის უსაფრთხოების სამსახურების

მიერ გავრცელებული ინფორმაცია, რომ დაზის სექტორში მიმდინარე საბრძოლო მოქმედებებში ჩართულ ისრაელის არმიას 5 000 ამერიკელი სამხედრო ეხმარება (tasnimnews, 2023), რასაც ამერიკული მხარე არ ადასტურებს.

იმ ვერსიის სასარგებლოდ, რომ ისრაელი-პალესტინის კონფლიქტის გამძაფრების უკან ირანული მხარე დგას, ისიც მეთყველებს, რომ ამ მოვლენის გამო საფრთხე დაემუქრა ბოლო რამდენიმე თვის განმავლობაში ისრაელსა და საუდის არაბეთს შორის მიმდინარე სამშვიდობო მოლაპარაკებას, რომელშიც შუამავალი იყო აშშ. დაგეგმილი იყო ორ ქვეყანას შორის დიპლომატიური ურთიერთობების აღდგენა, რომელსაც საუდის არაბეთი ტრადიციულად პალესტინის პრობლემის მოგვარებას უკავშირებდა. შესაბამისად, ისრაელ-პალესტინის კონფლიქტის გართულების გამო საუდის არაბეთმა მოლაპარაკებების განახლება გაურკვეველი ვადით გადაადო (Aziz El Yaakoubi and Parisa Hafezi, 2023). თან, ეს ყველაფერი ხდება იმ ფონზე, როდესაც 2023 წლის 10 მარტს ჩინეთის შუამავლობით ირანი და საუდის არაბეთი დიპლომატიური ურთიერთობების აღდგენაზე შეთანხმდნენ (Stephen Kalin and Summer Said 2023). დიდი ალბათობით, ირანი ცდილობს თავი დააღწიოს საერთაშორისო სანქციებსა და იზოლაციას და სპარსეთის ყურის ქვეყნებთან არსებული კონფლიქტები დაარეგულიროს. ირანსა და საუდის არაბეთს შორის ურთიერთობების დათბობა გვიჩვენებს, რომ სპარსეთის ყურის მუსლიმური ქვეყნები ინტეგრაციული პროცესების გაძლიერებას აპირებენ.

რახან ეს უმნიშვნელოვანესი რეგიონი აქამდე აშშ-ის გავლენის სფეროდ განიხილებოდა, ვაშინგტონში სერიოზულ საფრთხედ აღიქვეს ჩინეთის შუამავლობით არსებული გეოპოლიტიკური კონფიგურაციის შეცვლის მცდელობა. ამას ადასტურებს ა.წ. 6 აპრილს აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს შეფის, უილიამ ბარნსის დაუგეგმავი ვიზიტი საუდის არაბეთში, რომელმაც პრინც მოჰამად ბინ სალმანს ირანთან და სირიასთან კონტაქტების გააქტიურების გამო ამერიკული მხარის უკმაყოფილება დაუდასტურა. აშშ-ის წინააღმდეგობის მიუხედავად, 2023 წლის სექტემბრის დასაწყისში ირანსა და საუდის არაბეთს შორის დიპლომატიური ურთიერთობების აღდგენა და მათი უღჩების გაცვლა შეიძლება შეფასდეს ირანის საგარეო პოლიტიკის დიდ წარმატებად (voanews.com, 2023). სავარაუდოდ, სწორედ ირანული დიპლომატიის წარმატებებმა განაპირობა, რომ ცსს-ის ხელმძღვანელი უილიამ ბარნსი ა.წ. 5 ნოემბერს, ახლო აღმოსავლური ტურნის ფარგლებში, ისრაელს კვლავ ეწვია. ამასთან, დაზის სექტორში მიმდინარე რთული პროცესების ფონზე აშშ, სავარაუდოდ, ისრაელისთვის სადაზვერვო სფეროში კიდევ უფრო მეტი დახმარების განწვევას აპირებს (Julian E. Barnes, 2023). გარდა ამისა, ბარნსმა კატარში ამ ქვეყნის პრემიერსა და „მოსადის“ უფროს დავიდ ბარნეასთან შეხვედრა გამართა, რა დროსაც, ოფიციალურად, სწორედ ისრაელი-პალესტინის კონფლიქტის მოგვარებაზე და „ჰამასის“ მიერ დატყვევებული მძევლების განთავისუფლების აუცილებლობაზე ისაუბრა. არაა გამორიცხული, რომ ამ შეხვედრის დროს მხარეებმა ირანის, როგორც რეგიონში დესტაბილიზაციის მთავარი წყაროს საკითხიც განიხილეს (Reuters, 2023). საფიქრებელია, რომ ა.წ. 11 ნოემბერს, 45-წლიანი ინტერვალის შემდეგ გამართული ირანის პრეზიდენტ იბრაჰიმ რაისისა და საუდის არაბეთის კრონპრინც მოჰამედ ბენ სალმანის შეხვედრა (alarabiya.net, 2023) სწორედ ამერიკული და ებრაული მხარეების

ბოლოდროინდელი აქტივობების დასაბალანსებლად და გადასაფარად გაიმართა. მიუხედავად იმისა, რომ ირანს ჰამასის მიერ ისრაელზე განხორციელებულ ტერორისტულ თავდასხმაში არაოფიციალურად საკმაოდ დიდი როლი მიუძღვის, საუდის არაბეთი ირანთან ურთიერთობების გაუმჯობესების პროცესს, სავარაუდოდ, მაინც გააგრძელებს.

არაა გამორიცხული, რომ ირანმა ერთბაშად ორი კურდღლის დაჭერა სცადა და ისრაელის წინააღმდეგ პალესტინელების ნაქვებით სამხრეთ კავკასიის მიმართულებითაც ისარგებლა. იმის გამო, რომ ისრაელი აზერბაიჯანს სამხედრო და სადაზვერვო სფეროებში ძალიან ეხმარებოდა, ყარაბაღის კონფლიქტში მის გამარჯვებაში დიდი როლი შეასრულა და შესაბამისად, ირანის მოსაზღვრე ქვეყანაში პოზიციებიც გაიმყარა, ირანი საკმაოდ რთულ მდგომარეობაში ჩავარდა. პალესტინელებთან კონფლიქტის გართულების გამო, ამ ეტაპზე, ისრაელი აზერბაიჯანისათვის უკვე ვეღარ მოიცლის. ასევე შესაძლებელია, რომ პალესტინელების ტერორისტული შეტევის უკან რუსული კვალიც გამოჩნდეს, რადგან ისრაელის „ზედმეტი“ აქტიურობა აზერბაიჯანსა და უკრაინაში არც კრემლის ინტერესებს შეესაბამებოდა.

## **უკრაინა**

რამდენადაც უკრაინამ პროდასავლური საგარეო-პოლიტიკური კურსი აირჩია, ირანმა უკრაინაში რუსეთის შეჭრის შემდეგ პრორუსული ორიენტაცია დაიკავა და კრემლს მებოზელ ქვეყანასთან ომში აქტიური მხარდაჭერა გაუწია. სახელმწიფო სისტემის მენეჯმენტის დაბალი დონისა და დიდი კორუფციის გამო რუსეთს თანამედროვე შეიარაღების გარკვეული სახეობები, მაგალითად, დრონები არ გააჩნდა და იძულებული გახდა, ისინი ირანისგან შეესყიდა. მართალია, ირანი რუსეთისთვის დრონების მიწოდების ფაქტს დღემდე უარყოფს, მაგრამ ფაქტია, რომ ირანულმა მხარემ რუსეთი „ისლამური რევოლუციის გუშაგთა კორპუსის“ საშუალებით დრონების სხვადასხვა მოდიფიკაციით მოამარაგა. ის გარემოება, რომ რუსეთი და ირანი თათრეთის რესპუბლიკის ქალაქ ელაბუგაში დრონების მწარმოებელი ირანული ქარხნის აშენებაზეც შეთანხმდნენ (Dion Nissenbaum and Warren P. Strobel, 2023), ხოლო ირანელი სამხედრო ინსტრუქტორები და სპეცსამსახურის თანამშრომლები უკრაინის და რუსეთის ტერიტორიაზე რუს სამხედროებს დრონების გამოყენების ათვისებაში ეხმარებიან, გვაფიქრებინებს, რომ ირანს და მის სპეცსამსახურებს პოსტსაბჭოთა სივრცის ქვეყნების მიმართ შორს მიმავალი გეგმები აქვთ. სავარაუდოდ, ირანი რუსეთთან სამხედრო სფეროში თანამშრომლობის მასშტაბებს კიდევ უფრო გაზრდის. აშშ-უკრაინის სტრატეგიული პარტნიორობიდან გამომდინარე, ირანული სპეცსამსახურების და სამხედროების ასეთი აქტიურობა ამერიკის ხელისუფლების ნეგატიურ დამოკიდებულებას იწვევს. შესაბამისად, ირანელების ქმედებებს აშშ-ის მხრიდან ირანის სპეცსამსახურებისთვის სანქციების დაწესება მოჰყვა. ამერიკის სანქციების სიაში მოხვედრილი ირანული სპეცსამსახურის წარმომადგენლების ზედმინწვნით ზუსტი სია გვიჩვენებს, რომ აშშ-ის ცსს და გფბ უკრაინის ტერიტორიაზე ირანის

სპეცსამსახურების საქმიანობის შესახებ ძალიან კარგად არიან ინფორმირებული და მათ აქტივობას როგორც ირანში, ისე მის ფარგლებს გარეთ მაქსიმალურად აკონტროლებენ. ამ ფონზე, აშშ-ის მიერ ირანისათვის, ჩინეთისა და რუსეთისათვის მაღალტექნოლოგიური მიკროჩიპების მიყიდვის აკრძალვა (Alexandra Alper, Karen Freifeld and Stephen Nellis, 2023) გვიდასტურებს, რომ ვაშინგტონი ამ სამი ქვეყნის სამხედრო პოტენციალის დასუსტებას ცდილობს.

## **აშშ**

ბოლო ათწლეულის განმავლობაში ირანის სპეცსამსახურების საქმიანობის ანალიზი გვიჩვენებს, რომ ისინი, „ისლამური რევოლუციის გუშაგთა კორპუსის“ მეთაურობით, მსოფლიოს ყველა კონტინენტზე აქტიურობენ. რამდენადაც ირანის თეოკრატიულმა რეჟიმმა აშშ მთავარ სტრატეგიულ მტრად აღიარა, მისმა სპეცსამსახურებმა აშშ-ის ტერიტორიაზე სადაზვერვო პოზიციების შექმნა დაიწყეს. რადგან ბოლო წლებში ამერიკელებმა ირანის სადაზვერვო სისტემას ყველაზე დიდი ზარალი „გუშაგთა კორპუსის“ ელიტარული შენაერთის მეთაურის, გენერალ ყასემ სოლეიმანის ლიკვიდაციით მიაყენეს, ირანულმა სპეცსამსახურებმა აშშ-ის „ცენტრალური სადაზვერვოს სამმართველოს“ ყოფილი უფროსის, მაიკ პომპეოს და უშიშროების საკითხებში ექსპრეზიდენტ დონალდ ტრამპის მრჩევლის, მაიკლ ბოლტონის ლიკვიდაცია სცადეს, რაც ამერიკული სპეცსამსახურების დროული ჩარევით უმსხვერპლოდ დასრულდა. ამერიკულ მასშედიში გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ბოლტონისა და პომპეოსთვის ტერაქტის მოწყობას კურირებდნენ ირანის „გუშაგთა კორპუსის“ მაღალჩინოსნები – ოფიცრები შაჰრამ ფურსავი და მოჰამად რეზა ანსარი (Jennifer Hansler, 2023). სავარაუდოდ, ირანული მხარის არჩევანი იმან განაპირობა, რომ პომპეოც და ბოლტონიც სოლეიმანის ლიკვიდაციის ორგანიზატორებად ითვლებიან და სპეცოპერაციაში უშუალოდ იყვნენ ჩართული (Nicole Gaouette and Jamie Gangel, 2020).

## **ევროპა**

აღსანიშნავია, რომ ირანისა და აშშ-ის სპეცსამსახურები ერთმანეთს უკვე მსოფლიო მასშტაბით უპირისპირდებიან და მათ შორის გაჩაღებული ფარული ომის ერთ-ერთი ფრონტის ხაზი ალბანეთის მიმართულებითაც გაიხსნა. 2022 წლის 9 სექტემბერს „ირანის ისლამური რევოლუციის გუშაგთა კორპუსის“ დაზვერვასთან დაკავშირებულმა ირანელი ჰაკერების ჯგუფმა ალბანეთის კრიტიკულ ციფრულ ინფრასტრუქტურაზე იერიში მიიტანა და სერიოზულად დააზიანა (Talha Ozturk, 2022). ალბანეთის პრემიერ-მინისტრმა ედი რამამ 2022 წლის 10 სექტემბერს განაცხადა, რომ ირანის სპეცსამსახურებს დაქვემდებარებულმა ჰაკერებმა ალბანეთის საერთო საინფორმაციო მართვის სისტემაზე მორიგი კიბერშეტევა განახორციელეს. დიდი ალბათობით, ირანული სპეცსამსახურების ფართომასშტაბიანი კიბერსპეცოპერაცია განაპირობა იმ გარემოებამ, რომ ალბანეთის ტერიტორიაზე, დურესის რეგიონის ქალაქ მანეზში, მდებარეობს ირანის ოპოზიციური პარტიის „ირანელი ხალხის

მოჯაჰედების“ სათავო ოფისი, რომელთა პარტიული კონფერენცია (სხვა წყაროების ინფორმაციით, „თავისუფალი ირანის მსოფლიო სამიტი“) ამ კიბერშეტევის თარიღიდან რამდენიმე დღეში იყო დანიშნული, თუმცა ეს ღონისძიება, სავარაუდოდ, ტერორისტული კიბერშეტევის განმეორების საფრთხის გამო ჩაიშალა. ალბანეთის ხელისუფლებამ ირანთან დიპლომატიური ურთიერთობები მაშინვე განწყვიტა და ირანელი დიპლომატები ქვეყნიდან გააძევა.

საფიქრებელია, რომ ირანის სპეცსამსახურის მიერ განხორციელებული კიბერშეტევა იყო მკაფიო გზავნილი აშშ-სათვის, რომ ირანული მხარისათვის არ იყო პრობლემა ამერიკის მოკავშირეებისთვის ზიანის მიყენება. ამერიკულმა მხარემ დიდი შეშფოთება გამოხატა მომხდართან დაკავშირებით, რადგან 3000-მდე ირანელი ოპოზიციონერი ალბანეთის ზღვისპირა ქალაქში 2013 წლიდან მოყოლებული სწორედ ამერიკის დაფინანსებისა და გაეროს ინიციატივით დასახლდა. ის, რომ 2022 წლის სექტემბერში აშშ-მ, თავისი მოკავშირის კიბერუსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით, ამერიკელი სპეციალისტებისგან შემდგარი საგანგებო ჯგუფი ალბანეთში გაგზავნა (Jeff Seldin, 2023), გვიჩვენებს, რომ ამერიკული მხარე დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ალბანეთთან სტრატეგიული თანამშრომლობის და მისი უსაფრთხოების უზრუნველყოფის საკითხს საკმაოდ. ამას ისიც ადასტურებს, რომ ალბანეთის წინააღმდეგ განხორციელებული კიბერშეტევის გამო აშშ-ის ხელისუფლებამ ირანის ინფორმაციის/უშიშროების სამინისტროს სანქციები დაუწესა (Fatima Hussein, Frank Bajak, 2022). საინტერესოა, რომ ირანულმა მხარემაც დაუწესა სანქციები ამერიკელ მაღალჩინოსნებს (Iranintl.com, 2022).

ამ ფონზე, 2023 წლის 20 ივნისს ალბანეთის პოლიციამ ოპოზიციური პარტია „ირანელი ხალხის მოჯაჰედების“ ბანაკ აშრაფში, კიბერდამნაშავეების ძებნის საბაბით, რეიდი მოაწყო, რომლის დროსაც რამდენიმე პირი დაშავდა. აშშ-ის რეაქცია, რომელიც ირანელი ოპოზიციონერების წინააღმდეგ ალბანელი ძალოვნების რეიდს გაგებით და მშვიდად შეხვდა, გვაფიქრებინებს, რომ ირანული პარტია ამერიკული მხარის ადრინდელი მხარდაჭერით აღარ სარგებლობს (iranintl.com, 2023). იმის გათვალისწინებით, რომ ალბანეთის ტერიტორიაზე აღნიშნული ირანული ოპოზიციური პარტიის საქმიანობა პრემიერ-მინისტრმა უდი რამამაც გააკრიტიკა და მას, ირანთან დაპირისპირების პოლიტიკის გაგრძელების შემთხვევაში, ქვეყნის დატოვება ურჩია (albaniaandailynews, 2023), შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ აშშ-ისა და ალბანეთის ხელისუფლებები შეთანხმებულად მოქმედებენ. საფიქრებელია, რომ ალბანეთის მთავრობას არ სურს, რომ მისი სახელმწიფო ირანის ხელისუფლებისა და პარტია „ირანელი ხალხის მოჯაჰედების“ დაპირისპირების პოლიგონად იქცეს.

## დასკვნა

1. აშშ-ისა და ირანის სპეცსამსახურების ურთიერთობების მიმოხილვის და მათ შორის არსებული დაპირისპირების გაანალიზების შემდეგ იმ დასკვნამდე მივდივართ, რომ ამ ორ ქვეყანას შორის მიმდინარე პროცესებში მათი სპეცსამსახურები და სამხედრო წრეები უზარმაზარ როლს ასრულებენ. რამდენადაც ირანი მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონში, მათ შორის ახლო აღმოსავლეთსა და სამხრეთ კავკასიაში, პოლიტიკურ, ეკონომიკურ და რელიგიურ ექსპანსიას სწორედ საკუთარი სპეცსამსახურების დახმარებით ახორციელებს, შეიძლება ითქვას, რომ ეს სამსახურები აიათოლების რეჟიმის ძირითადი საყრდენი ძალა და ქვეყნის გარეთ მათი ინტერესების გამტარებელი მთავარი ინსტრუმენტია. ის, რომ ირანული სპეცსამსახურები და სამხედრო წრეები ახლო აღმოსავლეთში მოქმედ, ანტიამერიკულად განწყობილ შიიტურ გასამხედროებულ, ტერორისტულ ორგანიზაციებს სამხედრო სფეროში დიდ დახმარებას უწევენ, აშშ-ის და მისი მოკავშირეების შემფოთებას იწვევს. ეს გარემოება მათ სპეცსამსახურებს და სამხედროებს აიძულებს, რომ თავდაცვის მიზნით ირანელების წინააღმდეგ პრევენციული ზომები მიიღონ და საპასუხო ქმედებები განახორციელონ. რახან ირანმა ბოლო წლებში ლიბანში, ერაყსა და სირიაში სადაზვერვო ცენტრები ჩამოაყალიბა და სამხედრო ქალაქები დააარსა, აშშ და მისი მოკავშირე ისრაელი, ირანელების ქმედებების საპასუხოდ, რეგიონში სადაზვერვო, კონტრსადაზვერვო და ანტიტერორისტულ საქმიანობას კიდევ უფრო აძლიერებენ. მართალია, აშშ-ის სპეცსამსახურების და პენტაგონის მიერ „ირანის ისლამური რესპუბლიკის გუშაგთა კორპუსის“ ელიტარულ შენაერთ „ალ-ყოდსის“ მეთაურის, გენერალ ყასემ სოლეიმანის ლიკვიდაციის შემდეგ ახლო აღმოსავლეთში ირანის გავლენა და მისი სპეცსამსახურების პოზიციები შესამჩნევად შესუსტდა იმისათვის, რომ აშშ-სა და მის მოკავშირე ისრაელს სერიოზული პრობლემები შეუქმნას, ირანულ მხარეს რეგიონში მაინც საკმაოდ დიდი გავლენა და ოპერატიული რესურსი აქვს. ამას ადასტურებს ისრაელში ამჟამად მიმდინარე რთული პროცესებიც – ირანის მიერ წაქეზებულმა, მომზადებულმა და შეიარაღებულმა პალესტინურმა ტერორისტულმა ორგანიზაციებმა „ჰამასმა“, „ისლამურმა ჯიჰადმა“ და სხვებმა ისრაელს ფართომასშტაბიანი ტერორისტული შეტევა მოუწყვეს, რომელიც არაა გამორიცხული, რომ სრულმასშტაბიან დიდ ომში გადაიზარდოს. იმის გათვალისწინებით, რომ აშშ თავის თავზე აღებულ სამოკავშირეო ვალდებულებას ყოველთვის ზედმიწევნით კარგად ასრულებს, მოსალოდნელია, რომ მისი მხრიდან ისრაელის დახმარება იქნება დროული და ეფექტური. იმის პარალელურად, რომ აშშ ისრაელს სადაზვერვო ინფორმაციის მიწოდებითა და შეიარაღებით დაეხმარება, საფიქრებელია, რომ ოფიციალურმა ვაშინგტონმა, პარალელურად, კონფლიქტის ჩანყნარება და განეიტრალება კი სცადოს, რადგან სრულმასშტაბიანი ომი, რომელშიც შეიძლება ირანი და მისი ლიბანელი მოკავშირე, ტერორისტული ორგანიზაცია „ჰეზბოლაც“ ჩაერთოს, აშშ-ის სახელმწიფო ინტერესებს ამ ეტაპზე ნაკლებად შეესაბამება.

2. დიდია ალბათობა, რომ ახლო აღმოსავლეთში, სწორედ ირანის სპეცსამსახურების ბოლო წლების აქტიური საქმიანობის გამო, გადაწყვიტა აშშ-მ ლიბანში ახალი, რეგიონში ყველაზე დიდი, საელჩოს აშენება, სადაც უზარმაზარი სადაზვერვო ცენტრის განთავსებას აპირებს. მოსალოდნელია, რომ აშშ-ის სპეცსამსახურები ლიბანის სპეცსამსახურებთან მჭიდრო კოორდინაციაში ითანამშრომლებენ.
3. იმის გათვალისწინებით, რომ ირანის სპეცსამსახურები აშშ-ის ტერიტორიაზეც გააქტიურდნენ და აშშ-ის პოლიტიკოსების და მაღალი თანამდებობის პირების ლიკვიდაციასაც კი ცდილობენ, სავარაუდოდ, ამერიკის „გვბ“ და ცსს ირანის მიმართულებით სადაზვერვო, კონტრსადაზვერვო და ანტიტერორისტულ საქმიანობას კიდევ უფრო გააძლიერებენ.
4. ალბანეთში ირანის სპეცსამსახურების გააქტიურება გვიჩვენებს, რომ ისინი ევროპის ამ ისლამური ქვეყნის ხელისუფლებაზე გავლენის მოხდენას ცდილობენ, რითაც აშშ-ის ინტერესებს პრობლემებს უქმნიან. არაა გამორიცხული, რომ ირანულმა მხარემ მნიშვნელოვანი სტრატეგიული გეოპოლიტიკური მდებარეობის მქონე ალბანეთში საკუთარი პოზიციების გაძლიერება სცადოს. მით უმეტეს, რომ ირანის უნივერსიტეტებსა და სხვა სასწავლო დაწესებულებებში ალბანელი სტუდენტების გადაბირების პროცესი დიდი ხანია მიმდინარეობს, რაც ირანს პროირანულად განწყობილი ოპერატიული რესურსის ქონის საშუალებას და, საჭიროების შემთხვევაში, მისი ინტერესების შესაბამისად გამოყენების შესაძლებლობას აძლევს.



## ბიბლიოგრაფია

- Alamuddin, Baria, „Lebanon’s humiliation as an exporter of drugs and terrorism“, *Arabnews*, May 01, 2021, <https://www.arabnews.com/node/1852116>
- Alarabiya, “MBS meets Iran’s Raisi on sidelines of joint Arab-Islamic summit”, November 11, 2023, <https://english.alarabiya.net/News/saudi-arabia/2023/11/11/MBS-meets-Iran-s-Raisi-on-sidelines-of-joint-Arab-Islamic-summit>
- Albaniandailynews, “pmrama: mujahideenmustleavealbaniaiftheywanttofightiran”, June 30, 2023, <https://albaniandailynews.com/news/pm-rama-mujahideen-must-leave-albania-if-they-want-to-fight-iran>
- Ahronheim Anna, “Israel was involved in Soleimani assassination”, ex-IDF intel chief says“, *The Jerusalem Post*, December 20, 2021, <https://www.jpost.com/middle-east/article-689260>
- Alper Alexandra, Freifeld Karen and Nellis Stephen, „Biden cuts China off from more Nvidia chips, expands curbs to other countries“, *Reuters*, October 18, 2023, <https://www.reuters.com/technology/biden-cut-china-off-more-nvidia-chips-expand-curbs-more-countries-2023-10-17/>
- Alrabiaa.tv, (ةعبارلا) وتارهلاظتتمظنمفكوقوإعرالعابليةيلئيئإرسإلةسألأاتافارتعائثببدرفنت (ةعبارلا) November 13, 2023, <https://www.alrabiaa.tv/article/70446/70446-ييعيشييعيشيعارصقلخلةولوحم-تارهلاظت-تمظن-مفكوق-قارعلا-ب-ليةيلئيئإرسإلة-سألأ-اتافارتع-ائثبب-درفنت-ةعبارلا-و-ييعيشييعيشيعارصقلخلةولوحم>
- Ali Idrees and Stewart Phil, „US strikes Iranian targets in Syria –Pentagon“, *Reuters*, October 27, 2023, <https://www.reuters.com/world/middle-east/us-carries-out-strikes-against-iranian-targets-syria-pentagon-2023-10-27/>
- Babb Carla, „US Forces in Iraq, Syria Targeted 13 Times in Past Week“, *Voice of America*, October 24, 2023, <https://www.voanews.com/a/us-forces-in-iraq-syria-targeted-13-times-in-past-week-/7325007.html>
- Bassam Laila, Perry Tom, „How Iranian general plotted out Syrian assault in Moscow“, *Reuters*, October 6, 2015, <https://www.reuters.com/article/us-mideast-crisis-syria-soleimani-insigh-idUSKCN0S02BV20151006>
- Bo Lillis Katie, Cohen Zachary, Marquardt Alex and Bertrand Natasha, “US intelligence warned of the potential for violence days before Hamas attack“, *CNN*, October 13, 2023, <https://edition.cnn.com/2023/10/13/politics/us-intelligence-warnings-potential-gaza-clash-days-before-attack/index.html>
- Chehayeb Kareem, „US reroutes \$72M in aid for wages for Lebanese army, police“, *The Associated Press*, January 25, 2023, <https://apnews.com/article/politics-united-states-government-lebanon-business-19e414af05493d71adcbf0f49d638141>
- Davison John and Rasheed Ahmed, “Exclusive: In tactical shift, Iran grows new, loyal elite from among Iraqi militias“, *Reuters*, May 21, 2021, <https://www.reuters.com/world/middle-east/exclusive-tactical-shift-iran-grows-new-loyal-elite-among-iraqi-militias-2021-05-21/>
- Ebrahim Nadeen, “A massive new US embassy complex in a tiny Middle East nation is raising eyebrows“, *CNN*, May 13, 2023, <https://edition.cnn.com/2023/05/12/middleeast/massive-us-embassy-middle-east-mime-intl/index.html>

- E. Barnes Julian, „C.I.A. Director Visits Israel and the Middle East Amid Israel-Hamas War“, *The New York Times*, November 5, 2023, <https://www.nytimes.com/2023/11/05/us/politics/william-burns-israel-middle-east-trip.html>
- El Yaakoubi Aziz and Hafezi Parisa, „Saudi Arabia puts Israel deal on ice amid war, engages with Iran, sources say“, *Reuters*, October 13, 2023, <https://www.reuters.com/world/middle-east/saudi-arabia-puts-israel-deal-ice-amid-war-engages-with-iran-sources-say-2023-10-13/>
- Gaouette Nicole and Gangel Jamie, „How Pompeo convinced Trump to kill Soleimani and fulfilled a decade-long goal“, *CNN*, January 11, 2020, <https://edition.cnn.com/2020/01/09/politics/pompeo-trump-iran-soleimani/index.html>
- Hansler Jennifer, „US sanctions Iranian officials accused of plotting assassinations abroad including against Bolton and Pompeo“, *CNN*, June 1, 2023, <https://edition.cnn.com/2023/06/01/politics/us-iran-sanctions-assassination-plots/index.html>
- Harkov Lahav, „Israeli woman held hostage in Iraq by Kataib Hezbollah“, *The Jerusalem Post*, July 5, 2023, <https://www.jpost.com/breaking-news/article-748963>
- Hassan Mohammed, al-Ahmed Samer, „Iran’s growing presence in Syria’s al-Hasakah poses a direct threat to US forces“, *Middle East Institute*, March 24, 2022, <https://www.mei.edu/publications/irans-growing-presence-syrias-al-hasakah-poses-direct-threat-us-forces>
- Hussein Fatima, Bajak Frank, „U.S. sanctions Iran intelligence over Albania cyberattack“, *The Associated Press*, September 9, 2022, <https://apnews.com/article/nato-middle-east-iran-albania-244d172eef8f4e61bf7237e6f6045849>
- Intelligence Online, „US prepares new regional intel hub within forthcoming Beirut embassy“, May 05, 2023, <https://www.intelligenceonline.com/government-intelligence/2023/05/29/us-prepares-new-regional-intel-hub-within-forthcoming-beirut-embassy,109978164-art>
- Intelligence Online, „Republicans oppose US financing of Lebanese Armed Forces“, June 22, 2023, , <https://www.intelligenceonline.com/government-intelligence/2023/06/22/republicans-oppose-us-financing-of-lebanese-armed-forces,109996463-art>
- Iranintl, „IRGC Urges Palestinians To Take Advantage Of Turmoil In Israel“, March 29, 2023, <https://www.iranintl.com/en/202303291504>
- Iran International, „Israeli March Attacks in Syria Targeted Iranian, Hezbollah Intelligence – Sources“, April 7, 2023, <https://www.iranintl.com/en/202304060999>
- Iran International, „Iran Sanctions US Officials, Lawmakers Over Support for MEK Organization“, July 16, 2022, <https://www.iranintl.com/en/202207162442>
- Iran International, „US Says Albania’s Raid On Iranian MEK Compound Legal“, June 20, 2023, <https://www.iranintl.com/en/202306202329>
- Joby Warrick and Hill Evan, „Iran plans to escalate attacks against U.S. troops in Syria, documents show“, *Washingtonpost*, June 1, 2023, <https://www.washingtonpost.com/world/2023/06/01/discord-leaks-iran-russia-syria/>
- Kalin Stephen and Said Summer, „Saudi, Iranian Foreign Ministers Agree to Resume Flights After Beijing Meeting“, *Wall Street Journal*, April 6, 2023, <https://www.wsj.com/articles/saudi-iranian-foreign-ministers-meet-in-beijing-to-discuss-ties-69fb9aef>

- Kirby Paul, "Israel faces 'long, difficult war' after Hamas attack from Gaza", BBC, October 8, 2023, <https://www.bbc.com/news/world-middle-east-67044182>
- Kube Courtney and Doyle Katherine, "Trump falsely characterized Israel's role in his administration's hit on Iran's Soleimani, say former U.S. officials", *NBC News*, October 14, 2023, <https://www.nbcnews.com/politics/national-security/trump-mischaracterized-israel-role-hit-iran-soleimani-rcna120368>
- Liebermann Oren and Marquardt Alex, "US offering Israel special operations planning and intel support for any hostage rescue effort, official says", *CNN*, October 9, 2023, [https://edition.cnn.com/middleeast/live-news/israel-hamas-gaza-attack-10-09-23/h\\_78f766da1ab5bef9d0af718ac97987b3](https://edition.cnn.com/middleeast/live-news/israel-hamas-gaza-attack-10-09-23/h_78f766da1ab5bef9d0af718ac97987b3)
- Majidyar Ahmad, "IRGC has established several military bases across Syria, says Arab paper", *Middle East Institute*, February 16, 2018, <https://www.mei.edu/publications/irgc-has-established-several-military-bases-across-syria-says-arab-paper>
- McKenzie Sheena, "US Embassy in Iraq attacked by protesters", *CNN*, December 31, 2019, <https://edition.cnn.com/middleeast/live-news/iraq-us-embassy-protest-baghdad-live-updates-intl/index.html>
- Namer/Maariv Stav, "Iranian hackers leak photos of former PM Ehud Barak", *The Jerusalem Post*, October 7, 2023, <https://www.jpost.com/israel-news/article-762021>
- Sky News, "Gaza: 'No clear evidence' that Iran behind Hamas attack on Israel, Biden said", October 16, 2023, <https://news.sky.com/video/gaza-no-clear-evidence-that-iran-behind-hamas-attack-on-israel-biden-said-12985357>
- Newsru.co.il, "Денежная война в Иудее и Самарии: спецслужбы Израиля против менял Ирана и XAMACA", September 30, 2023, <https://www.newsru.co.il/israel/30sep2023/money301.html>
- Nissenbaum Dion and P. Strobel Warren, "Moscow, Tehran Advance Plans for Iranian-Designed Drone Facility in Russia", *The Wall Street Journal*, February 5, 2023, <https://www.wsj.com/articles/moscow-tehran-advance-plans-for-iranian-designed-drone-facility-in-russia-11675609087>
- Ozturk Talha, "Iran carried out fresh cyberattack on Albania, says premier", *Anadolu Ajansi*, September 10, 2022, <https://www.aa.com.tr/en/europe/iran-carried-out-fresh-cyberattack-on-albania-says-premier/2682145>
- Ravid Barak, "Scoop: U.S. proposed conducting joint military planning with Israel on Iran", *Axios*, May 17, 2023, <https://www.axios.com/2023/05/17/israel-us-military-planning-iran>
- Reuters, "Germany's Scholz condemns Iranian backing of Hamas", October 12, 2023, <https://www.reuters.com/world/germanys-scholz-condemns-iranian-backing-hamas-2023-10-12/>
- Reuters, "Iran's allies in Iraq, Yemen threaten U.S. over intervention in Israel", October 11, 2023, <https://www.reuters.com/world/senior-iraqi-political-figure-threatens-target-us-interests-if-it-backs-israel-2023-10-10/>
- Reuters, "Mossad, CIA chiefs meet Qatar PM in Doha on Gaza hostage deal –source", November 9, 2023, <https://www.reuters.com/world/middle-east/mossad-cia-chiefs-meet-with-qatar-pm-doha-over-hostage-deal-source-2023-11-09/>
- Saban Navvar, "Iran is still exporting oil to Hezbollah and the Assad regime. It's using Syrian ports for transit", *Atlantic Council*, March 13, 2023, <https://www.atlanticcouncil.org/blogs/iransource/iran-is-still-exporting-oil-to-hezbollah-and-the-assad-regime-its-using-syrian-ports-for-transit/>

- Said Summer, Lieber Dov, Faucon Benoit, " Hamas Fighters Trained in Iran Before Oct. 7 Attacks", *The Wall Street Journal*, October 25, 2023, <https://www.wsj.com/world/middle-east/hamas-fighters-trained-in-iran-before-oct-7-attacks-e2a8dbb9>
- Schanzer Jonathan, „Iran-Hezbollah Intelligence Center May Help Hamas Target Israel“, *Foreign Policy*, September 13, 2022, <https://foreignpolicy.com/2022/09/13/iran-hezbollah-hamas-israel-beirut-lebanon-intelligence-sharing-center/>
- Seldin Jeff, "US, Albania on 'Hunt' for Iranian Cyber Actors", *Voice of America*, March 23, 2023, <https://www.voanews.com/a/us-albania-on-hunt-for-iranian-cyber-actors/7018167.html>
- Steinbuch Yaron, "Qassem Soleimani airstrike: Ring from corpse identified Iran's top general", *New York Post*, January 3, 2020, <https://nypost.com/2020/01/03/qassem-soleimani-airstrike-ring-from-corpse-identified-irans-top-general/>
- Stewart Phil, Ali Idrees and Rasheed Ahmed, "US forces under fire in Middle East as America slides towards brink", *Reuters*, November 9, 2023, <https://www.reuters.com/world/middle-east/us-forces-under-fire-middle-east-america-slides-towards-brink-2023-11-09/>
- Stewart Phil, „Exclusive: "US military steps up Middle East surveillance as threats to troops grow", *Reuters*, October 24, 2023, <https://www.reuters.com/world/us-military-steps-up-middle-east-surveillance-threats-troops-grow-2023-10-24/>
- Tasnimnews, „5,000 US Troops Involved in Israeli Land War on Gaza: Exclusive“, October, 28, 2023, <https://www.tasnimnews.com/en/news/2023/10/28/2979369/5-000-us-troops-involved-in-israeli-land-war-on-gaza-exclusive>
- Timesofisrael, "Gantz: Iran converting Syrian military sites into missile factories", September 12, 2022, <https://www.timesofisrael.com/gantz-iran-converting-syrian-military-sites-into-missile-factories/>
- Voice of America, „Jordan Strikes Iran-Linked Drugs Factory in Southern Syria, Sources Say“, May 08, 2023, <https://www.voanews.com/a/jordan-strikes-iran-linked-drugs-factory-in-southern-syria-sources-say/7084246.html>
- Voice of America, Agence France-Presse, "Saudi-Iran Exchange Ambassadors After Years-Long Rupture", September 05, 2023, <https://www.voanews.com/a/saudi-iran-exchange-ambassadors-after-years-long-rupture-/7255727.html>
- Zaig Gadi, Jaffe-Hoffman Maayan, „IDF 'ready for war' as sirens wail in Jerusalem and Tel Aviv“, *The Jerusalem Post*, October 7, 2023, <https://www.jpost.com/breaking-news/article-762037>
- Zitun Yoav, Lior El-Hai, "Shin Bet uncovers Iranian plot to assassinate Ben-Gvir", *Ynetnews*, 27 september, 2023, <https://www.ynetnews.com/article/s1tnwfxza>